ოლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

პარასკევი, 22 აგვისტო 1924 წ.

წელიწადი მეოთხე

ფასი 3 კაპ.

წითელი არმიელი

№ 579 ქ. მ. ღ. პოლიტ-გან-ის ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ჯორჯიაშვილის ქუჩა № 8. საველე ელ. 19
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი
სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სესხი ჯერ გაჭირვებულს და მერე საშუალო გლეხობას.

ჩვენი ქვეყანა სამეურნეო ქვეყა- ა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენში ხვნა- სვას უფრო მეტი სარგებლობა აქვს, ვინემ მრეწველობის სხვა მელიმე დარგს.

მაგრამ მაგარი ის არის, რომ ჩვე- გლეხი ყანებს ამუშავებს ძველე- რ ყაიდაზე.

ძველებური, ადამის წლის გუთა- , კავი და სახნისი—აი ჩვენი სა- შაო იარაღი.

და ეს ძველებური იარაღი რამო- ნიმე გოჯის სიღრმეზედაც ძლივს ქნის მიწას.

მოსავალი რომ უკეთესი მოვიდეს ბევრიც, ამისათვის საჭიროა, ახა- დროის იარაღი.

გარდა ამისა საჭიროა მიწას და- რუნდეს ის ნოყიერება, რომე- ც ჭირნახულის მოყვანით ერთ- ა.

მცენარე საზრდოს თხოულობს.

ეს საზრდო მიწიდან არ აქვს.

მიწას კი ან სულ არ უბრუნდე- წართმეული სინოყიერე, ან უბ- ნდება ძალიან ცუდათ.

ეს მოგვდის ჩვენ ჯერ ერთი იმი- ომ, რომ ღარიბნი ვართ და მეო- ც იმიტომ რომ ცოდნა არა ქვს.

არ ვიცით მიწის დამუშავების ი ახალ ზომებით, ახალ ყაი- ზე.

არა გვაქვს ფული იარაღების შე ენად და საზოგადოდ სამეურნეო რის გასაუმჯობესებლად.

სწორედ ამიტომ იყო რომ საბჭოთა კავშირმა გახსნა ცენტრალური სასოფლო სამეურნეო ბანკი.

ამ ბანკის დანიშნულებაა მიაწოდოს გლეხობას მეურნეობისათვის საჭირო იარაღი და საჭირო თანხა.

იარაღის შეძენა თანდათანობითი გამოსყიდვით უნდა სწარმოებდეს.

ფულის სესხად წაღება-თანდათანობითი გასტუმრებით.

აღებულ ვალში გლეხი იხდის სულ მცირეოდენ სარგებელს.

ეს ოპერაციები უნდა აწარმოონ ადგილობრივმა ორგანოებმა.

ასეთი ორგანოების სახით არსდება საკრედიტო ამხანაგობები.

მხოლოდ საქმე ის არის, რომ ჩვენში გაჭირვებული ბევრია.

მაგრამ არის გაჭირვებულთა შორის განსხვავება.

არის გაჭირვებული და გაჭირვებულზე უფრო გაჭირვებულიც.

აი ეს გარემოება უნდა იქმნეს მიღებული სესხის გაცემის დროს.

პირველ რიგში უნდა დაკმაყოფილებულ იქნეს უღარიბესი გლეხი; შემდეგ საშუალო.

შეძლებულ გლეხს, რომელსაც „კულაკის“ სუნი უდის სესხი სრულიად არ უნდა მიეცეს.

რასაკვირველია, გლეხთა ამხანაგობებს ყველაზე უფრო მეტი ანგარიში უნდა გაეწიოს.

აი რას უნდა მიექცეს ყურადღება პროვინციელი დაწესებულებების მიერ და რა უნდა იქნეს შესრებული.

როგორ იხდიან გადასახადს საბჭოთა კავშირში.

ყოველ კუთხიდან მოდის ცნობე- მთლიანი სასოფლო-სამეურნეო დასახადის დაწყების შესახებ.

მრავალი რაიონები ვადამდე შე- გა გადასახადების შემოტანას.

გლეხობას მოაქვთ გადასახადები წითელი დროშებით და სალამს უძღვნიან საბჭოთა მთავრობასა და მის წარმომადგენლებს.

ამხ. რაკოვსკის მოხსენება ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების შესახებ.

კავშირთა სახლის კოლონიან და- აზში ამხ. რაკოვსკიმ გააკეთა მო- ნება ლონდონში დადებულ ხელ- რულების შესახებ. მოხსენებას სწრენ მოსკოვის საბჭოს წევ- ი, მუშათა ორგანიზაციების წარ- მადგენლები, მოსკოვის თემის ეხობა, და სხვა.

ტრიბუნაზე იყვენ ამხ. ამხ. კამე- ი, ჩიჩერინი და რაკოვსკი, რო- ლთაც დიდი ტაშით შეხვდენ.

კრება გახსნა ამხ. კამენევმა. მან ნიშნა, ის გარემოება, რომ ხელ- კრულება დადებულ იქნა ინგლი- მუშათა პარტიის კონტროლის შ. ეს ნიშნავს სოლიდარობის მტკიცებას საბჭოთა კავშირისა და ინგლისის მუშებს შორის.

ამხ. რაკოვსკიმ მოხსენებაში აღნიშნა, რომ მოლაპარაკება პირველ ხანებში მძიმე ნაბიჯით მიდიოდა, ვინაიდან ინგლისის მხრივ წამოყენებული იყო წინადადება, რომელიც ფაქტიურად მოითხოვდა კანონმდებლობის შეცვლას.

საბჭოთა დელეგაციამ კატეგორიულად განაცხადა, რომ ხელშეკრულება დადებულ იქნება მხოლოდ ურთიერთ სარგებლობისა და სესხის მიღების პირობებში.

ამხ. რაკოვსკი გადმოსცემს ხელშეკრულების საფუძვლებს, რომელთა ძალითაც ჩვენ თანახმა ვართ დავაკმაყოფილოდ ინგლისის მოქალქეთა პრეტენზიები ქაღალდების გამოსყიდვის სახით. დახსნილ იქნება ის ქაღალდები, რომლებიც შეძენილ იყო კრედიტორების მიერ ინგლის-საბჭოთა პირველ ხელშეკრულების დადებამდი 1921 წ.

ქაღალდების გამოსყიდვა არაა სრული: სპეციალურმა კომისიამ უნდა განსაზღვროს ზომა პრეტენზიების დაკმაყოფილებისა.

კომისიამ უნდა გამოსძებნოს პრაქტიკული გზები ჩამორთმეულ ქონების საკითხის გადასაჭრელად.

ინგლისის მთავრობა შეჰპირდა დაიცოს ჩვენი სესხის საკითხი პარლამენტში.

ამხ. რაკოვსკი აღნიშნავს ინგლისის მუშათა პარტიის, მუშა-დეპუტატებისა და ჟურნალისტების სამსახურს მოლაპარაკების გამარჯვებით დამთავრებაში და გამოსთქვამს იმედს, რომ ხელშეკრულება დამტკიცებულ იქნება, ვინაიდან ამის მომხრეა მუშათა კლასი და ფართო მასები.

ამხ. ჩიჩერინის სიტყვა.

მოსკოვის საბჭოს სხდომაზე ამხ. რაკოვსკის შემდეგ გამოდის ამხ. ჩიჩერინი რომელიც ამბობს: „აუცილებლობა საბჭოთა კავშირთან დაახლოებისა გამოწვეული იყო მკაცრი სინამდვილით, უმუშევრობის გაძლიერებით და ეკონომიურ კრიზისით კაპიტალისტურ ქვეყნებში. ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულება შედეგია ჩვენი დუელისა, რომელსაც ვაწარმოებდით ჩვენ ამ ხუთი წლის განმავლობაში. საბჭოთა კავშირი იზრდება ყველას თვალის წინ. ჩვენი მეურნეობა ძლიერდება, ხალხთა სიმტკიცე იზრდება. კომუნისტური პარტია უფრო მტკიცედ განაგებს, ვინემ ოდესმე.

ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცდა, რაიც ამტკიცებს ჩვენი გზის სისწორეს და ამართლებს ოქტომბრის რევოლიუციას.

ინგლისის მუშათა პარტიის სახელით გამოდის სიუზანა ლაურენო და აღნიშნავს, რომ ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულებას დიდის კმაყოფილებით შეხვდა ინგლისის მუშათა პარტია.

ბოლოს გამოდის ბუხარის სახალხო რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იუსუფ-ზადე, რომელმაც გადმოსცა ბუხარის, ხოზერმის და თურქესტანის ერთა სიხარული ინგლის საბჭოთა მოლაპარაკების სასურველად დამთავრების გამო.

დასასრულ მოსკოვის საბჭო იწონებს საბჭოთა დელეგაციის სიმტკიცეს საბჭოთა კავშირის ინტერესების დაცვაში და გამოსთქვამს იმედს, რომ საბჭოთა დელეგაცია შემდეგ მოლაპარაკებებშიაც გამოიჩენს უცვლელ სიმტკიცეს, და შეუთანაბრებს დათმობასა და მისგან გამომდინარე სარგებლობას სსრკ-ს მშრომელთა კეთილ დღეობისათვის.

დეპეშა.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს, ამხ. შალვა ელიავას.

თელავის მაზრის სოფელ ქვემო ხოდაშნის კულტურულმა წრემ დაარსა თქვენი სახელობის სახალხო სახლი, რომელსაც მიზნად აქვს ხალხში სწავლა განათლების შეტანა და მისწრაფება სოციალიზმისაკენ.

ხსნის რა დღეს, სახალხო სახლს, მოგესალმებათ თქვენ და თქვენი სახით საბჭოთა ხელისუფლებას, და გისურვებთ გამარჯვებას და დღეგრძელობას.

ქვემო ხოდაშენის კულტურულ-წრის თავმჯდომარე **ნაცვლიშვილი**.

ლონდონის კონფერენციის შემდეგ.

გერმანიაში.

სამშაბათს პრემიერთა თათბირზე მარქსმა და შტრეზემანმა გააკეთეს მოხსენება ლონდონის კონფერენციის შესახებ. მოხსენებას მოჰყვა ხანგრძლივი კამათი.

როგორც თათბირის მსვლელობიდან სჩანს, პრემიერები მოიწონებენ ლონდონის შეთანხმებას.

რეიხსტაგის სხდომა დანიშნულ იყო 22 აგვისტოს.

პომერანიის ნაციონალისტებმა და სამიწადმოქმედო კავშირმა გამოუგზავნეს ნაციონალისტების ფრაქციას დეპეშა, რომელშიაც მოითხოვენ ლონდონის შეთანხმების უარყოფას.

მთავრობა ამის საპასუხოდ ნახევრად ოფიციალურად იმუქრება, რომ თუ შეთანხმება უარყოფილ იქნება, ის დაუკლებს კრედიტებს სასოფლო მეურნეობისათვის.

მეორე ძალდატანება არის ის, რომ ლონდონის ყველა რეზოლიუციები უქმდებიან და შეთანხმების ყველა მონაწილეებს ენიჭება მოქმედების თავისუფლება იმ შემთხვევაში, თუ რეიხსტაგი არ მიიღებს კანონპროექტებს, რომლებიც გათვალისწინებულია დოუესის გეგმაში.

ამ რიგად საფრანგეთისა და ბელგიის დაპირებები, რომ ისინი გასწმენდნენ დორტმუნდის ზონას და სხვა ადგილებს, თავისთავად იხსნებიან.

კონფერენციის შემდეგ საფრანგეთში.

ერიოს დაბრუნების გამო პარიზის სადგურზე გაიმართა მანიფესტაცია. ხალხი შეეგება ერიოს „გაუმარჯოს ერიოს“! „გაუმარჯოს მშვიდობიანობას“ ძახილით.

მუშათა მასები მანიფესტაციაში არ მონაწილეობდა.

პროლეტარიატის ნაწილი, რომელსაც ხელმძღვანელობს კომპარტია, უარყოფითად უყურებს ლონდონის კონფერენციის შედეგებს.

რადიკალებისა და სოციალისტების აღფრთოვანებას სერიოზული ლახვარი ჩასცა მაკდონალდის წერილმა ერიოსა და ტენისის მიმართ, რომელშიაც მაკდონალდი კვლავ აცხადებს პროტესტს რურის ოკუპაციის წინააღმდეგ და მოითხოვს ევაკუაციის ჩატარებას მოკლე ვადაში.

თითქმის მთელი პრესა აქვეყნებს მაკდონალდის წერილებს უკომენტაროდ.

ერიოს მომხრეებს არ ეპრიანათ მაკდონალდის ასეთი ტაქტიკა ლონდონის შეთანხმების შემდეგ.

ნაციონალისტური პრესა სარგებლობს შემთხვევით და ხაზს უსვამს მიღწეული შეთანხმების მერყეობას.

„ფიგარო“ ილაშქრებს მაკდონალდის წინააღმდეგ და უწოდებს მის გამოსვლას „შანტაჟს“.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ერიომ ჩამოსთვალა კონფერენციაზე მიღწეული შედეგები და აღნიშნა მთავრობის მომავალი მუშაობის გეგმა.

ერიო სცდილობს, რათა კეთილ სასურველად მოაგვაროს რუსეთის საკითხი, რისთვისაც განზრახული აქვს შეისწავლოს ინგლისის მასალები საბჭოთა კავშირის შესახებ და მოისმინოს მოხსენება ვაჭრობა-მრეწველობის წარმომადგენელთა, რომელთაც კავშირი აქვთ საბჭოთა კავშირთან.

მაგრამ, უნდა ვიფიქროთ, რომ საფრანგეთ-საბჭოთა დამოკიდებულება ახლო მომავალში კიდევ ვერ განახლდება, მით უმეტეს პალატაში და სენატში აგერ ოცი დღეა გრძელდება კამათი ლონდონის შეთანხმების გარშემო.

ამერიკის კაპიტალისტები და სესხი გერმანიისთვის.

ნიუიორკიდან მიღებულ ცნობის თანახმად, როგორც კი მოაწერენ ხელს გერმანიის სესხს, ამერიკის კაპიტალისტები შეუთანხმდებიან საკრედიტო საქმეებში გერმანიის სხვა და სხვა სამრეწველო დაწესებულებებს.

შეთანხმება შეეხება უმთავრესად გერმანიის საფეიქრო სამრეწველოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სნოუდენი გერმანიის სესხის შესახებ.

„მანჩესტერ გარდიენის“ ცნობით, სნოუდენმა რურის ოკუპაციის გაგრძელებასთან დაკავშირებით, ექვი გამოსთქვა გერმანიის სესხის წარმატებაში.

სნოუდენმა ხაზგასმით აღნიშნა საფრანგეთის მრეწველობის ზრახვები დააწესოს კანტროლი გერმანიაზე.

კონფერენციის გამოძახილი ბერლინში.

შტრეზემანის მოხსენების გარშემო თათბირი კონფერენციის შესახებ გაგრძელდება პარასკევამდის (დღემდი).

როგორც ფიქრობენ დღესვე შეიკრიბება რეიხსტაგიც.

გერმანიის სახელმწიფოების პრემიერები არ მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას ლონდონში დადებულ ხელშეკრულების შესახებ, სანამ ამის შესახებ აზრს არ გამოსთქვამს საიმპერიო საბჭო.

მიუხედავად ამისა გერმანიის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ერთხმად მოიწონეს გერმანიის დელეგაციის გეზი ლონდონში.

პარიზში·

საფრანგეთის კაბინეტის წევრებმა ერთხმად მოიწონეს საფრანგეთის დელეგაციის მიერ დადებული ხელშეკრულება ლონდონში.

ხუთშაბათს ერიო გააკეთებს მოხსენებას კონფერენციის შესახებ დეპუტატთა პალატაში და სენატში.

რეჟიმის შეცვლა საოკუპაციო ადგილებში.

ბერლინის პრესის ცნობით, მარქსა და ერიოს შორის მოხდა შეთანხმება რეჟიმის შეცვლის შესახებ საოკუპაციო ადგილებში. საჩივრებისა და პრეტენზიების სიას არსებულ რეჟიმის შესახებ წარუდგენს მარქსი ერიოს განსახილველად.

საბჭოთა გემები შვეციაში.

16 ავგისტოს ტრონტგეიმიდან გამოვიდენ საბჭოთა გემები „ავრორა“ და „კომსომოლეცი“, რომლებიც იყვნენ გაჩერებული ნავთსადგურში 3 დღე.

ტრონტგეიმის მშრომელმა მოსახლეობამ ძმურად მიიღო საბჭოთა მეზღვაურები.

სახალხო სახლში შესდგა საღამო წითელ მეზღვაურების პატივსაცემლად, საკონცერტო განყოფილებაში მიიღეს მონაწილეობა თვით მეზღვაურებმა. მეზღვაურები მონაწილეობდენ აგრეთვე ფუტბოლის შეჯიბრებაში.

იმიჯნებიან პუანკარიზმისაგან.

სოციალ რეფორმისტული და მემარცხენე ლიბერალური პრესა განიხილავენ ლონდონის კონფერენციის შედეგებს, როგორც „ახალი მშვიდობიანობის“ დასაწყისს ევროპაში.

გერმანიის სოციალ დემოკრატების ორგანო ჩეხოსლოვაკიაში სწერს, რომ ლონდონის შეთანხმება ნიშნავს იმას, რომ დიდმა სახელმწიფოებმა ხელი აიღეს პუანკარიზმზე.

ამხ. ლოზოვსკი.



პროფინტერნის გენერალური მდივანი.

„დადგა დრო, ამბობს გაზეთი პუანკარიზმის გაუქმებისა ჩეხო-სლოვაკიაში.

საფრანგეთის პოლიტიკური პირველობა ევროპაში უკვე დამთავრდა, რის გამოც ბენეშის პოლიტიკამ დაჰკარგა ნიადაგი.

ჩეხო-სლოვაკიის სახელმწიფოებრაობამ უნდა ეძიოს დასაყრდნობი სახელმწიფოს შიგნით და უნდა მიანიჭოს ნაციონალურ—უმცირესობებს თანასწორი უფლებები ჩეხებთან ერთად.

მატეოტის გვამი.

მონტე როტონდოდან მატარებლის გასვლას, რომლითაც გადაჰქონდათ მატეოტის გვამი, დაესწრენ სენატის წარმომადგენლები დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე, სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები და „პოპოლიარი“-ს პარტიები.

კუბო შეამკეს გვირგვინებით დეპუტატთა პალატის წარმომადგენლებმა, სოც. პარტიებმა და სხვა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა.

ადგილობრივ ძალთა წარმომადგენლები უარყოფენ ხმებს იმის შესახებ, რომ გვამს აღმოაჩნდა დამტვრეული ძვლები და გვერდები.

ინგლისი

დოუესის გეგმა ნიადაგს უმზადებს ახალ ომს.

პრესა აქვეყნებს ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციების რეზოლიუციებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ინგლისის კომპარტიის კომპანია დოუესის პროექტის წინააღმდეგ მოიტანს რეალურ ნაყოფს.

„დეილი გერალდი“ აქვეყნებს ლონდონის პროფკავშირთა საბჭოს რეზოლიუციას, რომელიც ახასიათებს დოუესის გეგმას, როგორც ბოროტებას მუშათა კლასის წინააღმდეგ.

რეზოლიუცია მოუწოდებს მუშათა მთავრობას უარჰყოს ეს პროექტი, ითავოს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევა გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მონაწილეობ

კონფერენციის მიზანია სარეპა ციო საკითხების გადაჭრა.

საბჭოს მდივანი რეზოლიუცი დართულ წერილში სწერს: „დო სის გეგმა, როგორც ვერსალის ლაპარაკება ნიადაგს უმზადებს ა ომს და ეწინააღმდეგება მუშ პარტიის პოლიტიკას.

დეე, უმჯობესია დაეცეს მთავრ ბა ბრძოლაში თავისი პრინციპ თვის, ვინემ დარჩეს და ხელი ღოს თავის პოლიტიკაზე“.

მსგავსივე რეზოლიუციები გა ტანილ იქნა მთელ რიგ მუშ ორგანიზაციების მიერ.

შიშს დიდი თვალები აქვს.

რომში მყოფი „მორლინგ პოსტის“ კორესპოდენტი მიაქცევს ყურადღებას, რომ საბჭოთა გემი „ვოროვსკი“ გაემგზავრა ალექსანდრიაში მაშინვე, როგორც კი მიღებ იქნა ცნობა აღელვების შესახებ დანში.

სამხედრო წესები.

კაპრის გაზეთის „სიასსა“ იუწყება, რომ სუდანში გამოცხადებულია სამხედრო წესები იქ მომხდარ მ ლვარების გამო.

საფრანგეთი.

როგორ მიეგებენ მუშები პუანკარეს.

ნაციონალურ ბლოკმა მიიწვია პუანკარე ქალაქ ლიუნევილეში, სადაც უნდა გაეკეთებია მას მოხსენება.

პუანკარეს მტრული მანიფესტაციით შეხვდა მუშები, რომლე გაიძახოდენ: „ძირს ომი“. მანიფ ტანტებმა შემოიარეს ქალაქის ლა ქუჩები.

საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება.

საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ მიმართა მოწოდებით საფრანგეთის, მშრომელებს რომელშიაც ამტკიცებს, რომ მარცხენა ბლოკი განაგრძობს ნაციონალური ბლოკის პოლიტიკას ყველა, საგარეო და საშინაო საკითხებში როგორ არიან: რურის ევაკუაცია, ამნის დათხოვნილ რკინის გზელთა მი ბა უკანვე და საბჭოთა კავში ცნობა.

მოწოდება თავდება მი თებით, რომ მხოლოდ მუშ და გლეხთა ბლოკის გამარჯვ შესძლებს მშვიდობიანობის დ ყარებას მთელი ქვეყნის პროლე რების გაერთიანებით.

ამნისტიის მოთხოვნა

პალატის მომავალ სხდომ ხუთშაბათს კომუნისტური დე ტატი მარტი გამოვა მოთხო ლებით, რათა ამნისტიის საკ საბოლოოდ იქნას დაყენებული ლატაში პარლამენტის სესიის ლომდი.

უკანასკნელ საათში

არ სურთ ერთა ლიგ შუამავლობა.

ანგორის პოლიტიკური წრე აზრით, ინგლისის მიმართვა ე ლიგისადმი მოსულის საკითხის გ რჩევად, არ არის სავალდებუ ოსმალეთისათვის, ვინაიდან ის შედის ერთა ლიგაში.

ოსმალეთის პოლიტიკოსების რით მოსულის საკითხი შეიძ გარჩეულ იქნას მხოლოდ უშუ მოლაპარაკების გზით ლონდო და ანგორის მთავრობის შორის.

რა მოხდა საგულისხმო ამ ცოტა ხანში.

ინგლისის დედა ქალაქში შეკრებილი მოკავშირეთა თათბირი დასრულდა.

დასრულდა იგი გერმანიის მშრომელი ხალხის გულში დანის ჩაცემით.

მკითხველმა იცის, რომ ეს თათბირი მოწვეული იყო ინგლისის დღევანდელი „მუშური“ მთავრობის პრემიერის მაკდონალდის, საფრანგეთის პრემიერის ერიოს და ამერიკის მთავრობის თაოსნობით.

მთავარი საკითხი, რომელზედაც ეს ქვეყნის მტაცებლები იტეხდენ თავს, იყო გერმანიის საკითხი.

ამ გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა ჯერ კიდევ ვერსალის ხელშეკრულების დროს მაგრად წაუჭირეს გერმანიას ყელში ხელი, ომის მთელი ცოდვები მას დააყარეს თავს და დაადვეს დიდძალი ფული გადასახდელად.

ჩაერიენ მის შინაურ საქმეებში და იძულებული გახადეს დათანხმებულიყო სხვა და სხვა კანტროლზე.

გერმანიის მაშინდელმა ხელისუფლებამაც მიიღო უსიტყვოდ ყოველივე მოთხოვნილება.

ან კი რა ენაღვლებოდათ მათ?

მთელი ეს უბედურება, მათ კი არა, გერმანიის მუშასა და ღარიბ გლეხს აწყდება თავზე.

მაგრამ მტაცებლებმა ეს არ იკმარეს.

საფრანგეთმა მოიძვა მიზეზი და თავის ჯარებით შეიჭრა გერმანიის მდიდარ კუთხეში—რურის ოლქში.

გერმანიის მთავრობა აქაც ყურმოჭრილ მონასავით შეხვდა.

მან არ გაუწია წინააღმდეგობა საფრანგეთის ასეთ მხეცურ საქციელს; პირიქით აღელვებულ მუშებს მოუწოდებდა „მოთმინებით მოეპოვათ სული თვისი“.

აი სწორეთ ამ მსუქან ლუკმაზე ჩამოდის ნერწყვი საფრანგეთს, ინგლისს და ამერიკას.

თვითეულ მათგანს სურს რაც შეიძლება მეტი ირგოს.

ამიტომაც მოიყარეს თავი ლონდონში.

გერმანია კი ბოლოს მიიწვიეს.

გამომუშავებულ გეგმის ხელის მოსაწერად.

მან კიდევაც შეასრულა ეს ჩვეულებრივი „ვაჟკაცობით“.

რას ნიშნავს ყოველივე ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ გერმანიის მთავრობას ანგარიშს არავინ უწევს, მას თავის ჭკუაზე ათამაშებენ. რაც უნდათ იმას აკეთებინებენ. ისიც მზათ არის იხტუნაოს, ოღონდ კი ძალაუფლება შეინარჩუნოს.

გერმანიის მუშამ და ღარიბმა გლეხმა კი ასეთი პატრონების წყალობით მეათეჯერ და მეასეჯერ უნდა გადაიძროს ტყავი.

მაგრამ დიდხანს გასტანს განა ასეთი საზიზღროება გერმანიის მშრომელი მასის მიმართ?

ჩვენ ვფიქრობთ არა.

მას იხსნის მხოლოდ რევოლიუციის წითელი ქარიშხალი.

⁂

იაპონიასთან მოლაპარაკება.

საბჭოთა კავშირი მზათ არის ყველასთან მეგობრული კავშირი დაიკავოს.

იგი არ ერიდება ასეთ შემთხვევებში ზოგიერთ დათმობებსაც კი.

რასაკვირველია, დათმობების დროს მხედველობაში მიღებულია, როგორც ჩვენი ინტერესები, აგრეთვე ინტერესები მოპირდაპირეს მშრომელთა მასის.

თუ ვინიცობაა და ამ ინტერესების გარეშე დაგვიყენეს საკითხი, ჩვენი წარმომადგენლებიც ამაყად სდგანან და სათანადო პასუხს აძლევენ.

აბა მოიგონეთ ამხ. რაკოვსკის მოქმედება ინგლისის მთავრობასთან. იაპონიასთან დიდი ხანია ვაწარმოებთ მოლაპარაკებას სავაჭრო ხელშეკრულებაზე.

იქაური იმპერიალისტური მთავრობაც დიპლომატობს და საქმეს აჭიანურებს.

ამ ცოტა ხნის წინეთ კიდევაც შეწყდა მოლაპარაკება.

ეხლა მიღებულ ცნობებიდან კი ვიცით, რომ მოლაპარაკება განახლდა.

რა არის საქმე?

საქმე ის არის, რომ იაპონიას სურს ძლიერი შეიქნეს შორეულ აღმოსავლეთში.

მას ყავს მეტოქე ამ საკითხში და ღონიერი მეტოქეც.

ეს არის ამერიკა.

ამერიკას სული მიუდის ჩინეთის დაპყრობაზე, იქ გამკვიდრებაზე.

აი ეს ორი ძალა-იაპონია და ამერიკა ერთმანეთს უპირდაპირდებიან წყნარ ოკეანეზე. იაპონიისთვის საჭიროა ძალა. მას ესაჭიროება ნავთი. ასეთი მას არა აქვს.

იქვე მის მეზობლად კი სახალინში ჩვენს კავშირს აქვს ნავთით მდიდარი მიდამოები.

ერთ დროს, როდესაც საბჭოთა რუსეთი სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იყო გახვეული, არც იაპონიამ დაიზარა და ძალით დაეპატრონა რუსეთის სიმდიდრეს, როდესაც საბჭოთა კავშირი იმდენად გაღონიერდა, რომ იგი ქვეყნიერებაზე უძლიერეს სახელმწიფოს, ინგლისს ელაპარაკება, როგორც სწორი-სწორს. არც იაპონიას გავაბედვინებთ ჩვენი მშრომელი ხალხის უფლებების გათელვას.

ჩვენი წარმომადგენელი გასაგებ ენით ეუბნება მას: აი ნავთი, დავდვათ ხელშეკრულება მეგობრობის და მიირთვით.

არ გსურთ ასე—მიბრძანდით. და სწორეთ იაპონიამაც ნათლად უნდა შეიგნოს ეს.

მუშურ-გლეხური მთავრობა მას ნებას არ მისცემს უფლებების გათელვისას.

ალმასი.

ჩვენი
წითელი

ტფილისის საყოველთაო სამხედრო მომზადების პუნქტები.

საყოველთაო სამხედრო სწავლების პუნქტები ტფილისში სამ ადგილზეა მოწყობილი, სადაც იკრიბებიან 700-მდე ახალგაზრდები.

პუნქტებში ძლიერ გამოცოცხლდა მუშაობა, ეწყობა ლენინის კუთხეები, სხვა და სხვა ტანთვარჯიშობები და სხვა.

პოლიტსაათები სისტემატიურად ტარდება, როგორც ქართულ, ისე რუსულ ენაზე, რადგან მწვევამდელების 50 პროც. შეადგენს სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები: რუსები და სომხები. ამნაირად პოლიტსაათები ყველასათვის გასაგები ხდება, კამათიც ქართულ და რუსულ ენებზე სწარმოებს, რაც უფრო სიცოცხლეს აძლევს მეცადინეობას. პუნქტებზე სხვა მუშაობაც ნორმალურად მიმდინარეობს, გვაქვს საკუთარი კედლის გაზეთები, რომელსაც ხელმძღვანელობს საერთო კრების მიერ არჩეული სარედაქციო კოლეგია. არჩეული არიან აგრეთვე სამხედრო კორესპოდენტები. კედლის გაზეთებში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ თვით მწვევამდელები. საერთოდ პუნქტების მუშაობა სასურველად მიმდინარეობს.

სამხკორი — **ლულა.**

დივიზიის ლაზარეთის ცხოვრებიდან.

17 აგვისტოს ჩვენი კლუბის დარბაზში შესდგა ლაზარეთის მთელი შემადგენლობის კრება.

გასარჩევი იყო შემდეგი საყურადღებო საკითხები: დისციპლინა ლაზარეთში, საკლუბო მუშაობა, სამნეო ნაწილის შესახებ, დამხმარე ჯგუფის არჩევა და სხვა.

დისციპლინის შესახებ ილაპარაკა ამხ. დოლგოვსკიმ.

საკლუბო მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. მამულაიშვილი. მან მრავალი საყურადღებო ცნობები მიაწოდა წითელ არმიელებს კლუბში მუშაობის წარმოებისათვის და ბოლოს მოუწოდა კრებას საკლუბო გამგეობაში აერჩიათ ენერგიული და პატიოსანი ამხანაგები. კრებამ აირჩია შვიდი კაცისაგან შემდგარი გამგეობა.

სამნეო ნაწილის მუშაობა კრებამ დამაკმაყოფილებლად სცნო და აირჩიეს ახალი დამხმარე ჯგუფი, რის შემდეგ გაირჩა ზოგიერთი საყურადღებო მიმდინარე საკითხები.

ის. კოდუა.

ორი კურსანტი ჩვენს სკოლაში.

უმც. მეთ. მოსამზადე^ელ სკოლაში ამ ორი თვის წინეთ პოლიტ-განყოფილებიდან გადმოგზავნილ იქმნენ პრაქტიკაზე და პოლიტ-მუშაობის საწარმოებლათ—ცენტრალურ პარტ-სკოლის ორი კურსანტი თორაძე და დათუაშვილი.

როგორც ჩვენი ცხოვრება-საქმიანობით დაინტერესებულთ და ახალგაზრდათა კივშირის წევრებს ამხ. მიენდოთ სკოლაში არსებულ ახალგაზრდათა კავშირის წრეების ხელმძღვანელობა. ამხ. ყოველდღიურათ ატარებენ პოლიტ-საათებს მეორე და მესამე ოცეულებში და ჩაბმული არიან ნაწილში არსებულ ყოველგვარ კულტურულ განმანათლებელ საქმიანობაში.

მართალია, როგორც ყოველ ადამიანს, მათაც აქვთ ნაკლი—განსაკუთრებით სამხედრო დისციპლინაში, მაგრამ შედარებით ზემო აღნიშნულ, გატაცებულ საქმიანობასთან ეს უმნიშვნელოა.

სასურველი იქნება, რაც შეიძლება კურსანტების მეტი პროცენტი იქნან გადმოგზავნილი ჯარის ნაწილ ებში ზაფხულობით. მათი დახმარებით ადვილათ შევძლებთ პარტ და პოლიტ-განმანათლებელ მუშაობის გამოცხოველებას.

ე. ცომაია.

მესამე ლეგიონის საკავშირო ასეულში.

ჩვენს ლეგიონში საკავშირო ასეულს პირველი ადგილი უკავია. სისუფთავე, დისციპლინა, განათება და არმიელების საერთო მომზადება პირდაპირ სანიმუშოა.

ყველა ეს მიეწერება ასეულის თავის და სამხკომის ენერგიულ მუშაობას.

არ დარჩენილა ერთი წითელ არმიელი, რომელსაც შესწავლილი არ ქონდეს თავისი სპეციალობა, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულადაც.

4 აგვისტოს საველე ვარჯიშობამ სავსებით გამოაშკარავა, რომ საელსმენო სადგურის მოწყობა, აპარატის დაშლა-აწყობა და სხვა, აპარატის ყველა დეტალების მოხმარა, საუცხოვოდ აქვთ შეთვისებული წითელ არმიელებს.

კულტურულ ფრონტზედაც ძლიერია ჩვენი ასეული.

8 აგვისტოს ლეგიონის შემადგენლო`ის საერთო კრების შემდეგ მათ მიერ წარმოდგენილი იქნა ერთ მოქმედებიანი პატარა პიესა „წითელ ყაზარმაში,“ რომელიც მშვენივრად ჩატარდა.

ასეული აგრეთვე ემზადება ლიტერატურული დილის მოსაწყობად, რომელიც გაიმართება ამ მოკლე ხანში.

9 აგვისტოს სხდომაზე ასეულმა აირჩია სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელიც რიგ-რიგობით გაუშვებს ამხანაგებს მოკლე ვადიან შვებულებაში.

მეტრეველი.

კავშირი სოფელთან.

ქართულ საარტილერიო ნაწილებმა მიიღო შეფობა სოფელ მარტყოფზე.

ხშირად, თითქმის ყოველ კვირაობით დავიარებით სოფელში და ვაწყობთ სხვა და სხვა კულტურულ გასართობებს, ვდგამთ წარმოდგენებს, ვაკეთებთ მოხსენებებს სოფლის საჭირ ბოროტო საკითხებზე და სხვა, რომლებსაც აუარება გლეხობა ესწრება.

მსოფლიო ომის საწინააღმდეგო კვირეული ჩატარებული იქნა მარტყოფის გლეხებთან ერთად.

გაიმართა მიტინგი, რომელზედაც წყევლა-კრულვით გამოდიოდენ ომის დამწყებთა წინააღმდეგ, როგორც არმიელებიდან, ისე ადგილობრივი გლეხობიდანაც.

„ომი - ომს“ გაისმოდა ზღვა ხალხის მიერ.

მიტინგზე გამოტანილი იქნა შესაფერისი რეზოლიუცია, რომელიც სასტიკად ილაშქრებდა ყოველგვარი საომარი წამოწყების წინააღმდეგ—განწირული ბურჟუაზიის მიერ.

ჩვენი დაახლოება გლეხებთან მეტად ნაყოფიერი გამოდგა. სოფელში ძმურად გვიყურებენ და ჩვენს დაუკითხავათ ერთი საზოგადოებრივი საქმე არ კეთდება. გლეხები აშკარად გრძნობენ, თუ როგორი განსხვავებაა ძველსა და ახალ ჯარებს შორის, ამიტომ არის, რომ ასე ახლოს მოკიდენ და დაგვიახლოვდენ ჩვენ.

ლ. დგებუაძე.

პური ძლიერ კარგათ ცხვება.

ორი თვის წინად პირველ ლეგიონში, როგორც აღნიშნული იყო მეტად ცუდი პური ცხვებოდა. ამას ქონდა თავისი მიზეზები; რომლებიც ამ ჟამად სრულიად აღარ არსებობენ და ლეგიონის წითელ არმიელებს ურიგდება მშვენიერად გამომცხვარი პური.

დიდი ყურადღებით ეპყრობიან ამ საქმეს ლეგიონის თავი, სამხკომი და მეთვალყურე ამხ. იმნაიშვილი, რომელიც ყოველ დღე დაიარება პურის საცხობში და თვალყურს ადევნებს მუშაობას. მიღებულია ზომები აღნიშნული ამხანაგების მიერ, რომ კიდევ უფრო გააუმჯობესონ პურის ხარისხი.

არს. კერვალიძე.

ჩვენი კედლის გაზეთები.

„წითელი სანიტარი“-ს № 2-რი.

გამოვიდა დივიზიის ლაზარეთის ყოველკვირეული ორგანო—კედლის გაზეთი „წით. სანიტარი“.

გაზეთი მსოფლიო ომის 10 წ. თავს აქვს მიძღვნილი და წერილების უმეტესი ნაწილიც ამის გარშემო ტრიალებს.

გაზეთში გამოხატულია მსოფლიო ომის სურათიდან ერთი ეპიზოდი. მხატვრობა ცუდათ არის შესრულებული, მაგრამ მაინც იქცევს ყურადღებას თავისი დროულობით.

თავში, გაზეთის ყველა სვეტში სიგანეზე გადაჭიმულია ლოზუნგები იმპე იალისტური ომის წინააღმდეგ.

მოწინავე—იმპერიალისტურ ომის წინააღმდეგ.

შემდეგ მიდის საკლუბო მუშაობის მიმოხილვა და სხვა.

გაზეთის ერთი სვეტი (შუა ნაწილი) დათმობილი აქვს რუსულ წერილებს, რომლებიც შეეხებიან შინაურ საკითხებს.

დეპეშები ყურადღებას იქცევს თავისი მნიშვნელოვანი ცნობებით ერთი კვირის განმავლობაში.

ცნობებია, როგორც ქართულად, ისე რუსულად.

გაზეთის უკანასკნელი ორი სვეტი უჭირავს პოეზიას—წითელ არმიელების შემოქმედებას.

ლექსებში ალაგ-ალაგ ლამაზად არის გაზნეული ომის საწინააღმდეგო ლოზუნგები.

აუცილებლად ლამაზი ფორმით არის მოცემული მსოფლიო ომის სურათები ოზურგეთელის ნაწყვეტებში რომელიც ბოლოს ასე თავდება:

„წყვდიადით მოსილ სამყაროს ახალი ღმერთი დაეუფლა... მიმოავლო თვალი კაცთ ნამოქმედარს და კრემლის სიმაღლიდან მსოფლიოს ამცნო:

„ევროპა ინგრევა. ევროპა უნდა დაინგრეს“.

საერთოდ „წითელი სანიტარის“ მეორე ნომერი გარეგნულად სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს.

კუ.

მეორე დივიზიის სკოლის ცხოვრებიდან.

კვირას, 17 აგვისტოს, მეხუთე ლეგიონის სკოლის გამგის ამხ. ირ. ნინიკაშვილის ხელმძღვანელობით მოხდა ხსენებული დივიზიის ნაწილების (4, 5 და 6 ლეგიონების) ექსკურსია ჩუმათელეთის აბანოების დასათვალიერებლად.

მისვლისას, სკოლის გამგემ, ამხ. ნინიკაშვილმა გააკეთა მოკლე მოხსენება მინერალური წყლების შესახებ.

მომხსენებელი შეეხო: მიწის გეოლოგიურ შემადგენლობას და თითეულ შემადგენელ ნაწილზე იძლეოდა სათანადო ახსნა-განმარტებას.

შემდეგ გადავიდა წყლის ბრუნვაზე, მინერალური წყლების წარმოებაზე—მათ მნიშვნელობაზე ადამიანისათვის, როგორც სამკურნალო საშვალებაზე და სხ.

მოხსენებამ ერთობ დააინტერესა წითელ არმიელები, რამაც მათი მხრიდან გამოიწვია აუარება შეკითხვები.

ბოლოს გაიმართა ცეკვა და რამოდენიმე ხნის შემდეგ დავბრუნდით უკან.

უკრავდა მეხუთე ლეგიონის მუსიკა. ექსკურსიამ კარგი შთაბეჭდილება დასტოვა წითელ არმიელებზე.

კარგი იქნება ჩვენი კლუბი ხშირ-ხშირად რომ მოაწყობდეს ასეთ შინაარსიან ექსკურსიებს.

მატიანე.

პარტიული ცხოვრება.

ჩვენი კომუჯრედი.

1-ლ ლეგიონის მზვერავ-საკავშირო ასეულის კომუჯრედი დიდი ხანი არ არის რაც დაარსდა, მაგრამ ამ მცირე დროში ბევრი რამ გაკეთდა. თანდათანობით იზრდება უჯრედის წევრთა აქტივობა და ყველა წარსულ მუშაობაში არსებული დეფექტები გამოსწორებული იქნა.

კომუჯრედის კრებები სისტემატიურად იწვევა კვირაში ერთხელ—ყოველ შაბათობით. წევრების კრებებზე უმიზეზოდ დაკლებას ჯერ არ ქონია ადგილი.

საწევრო გადასახადებიც თავის დროზე იკრიბება და ყველა პარტიული დავალებები სინდისიერად სრულდება ამხანაგების მიერ.

ყოველ სხდომებზე თვით კომუჯრედის წევრების მიერ იკითხება საინტერესო შინაარსის მოხსენებები. შემოღებული გვაქვს აგრეთვე კვირეული საინფორმაციო მიმოხილვა, რომელსაც ასრულებენ წინდაწინვე არჩეული ამხანაგები. უჯრედი ძლიერ დაახლოებულია უპარტიო წითელ არმიელებთან და მისი გავლენაც მათში დიდია. ხშირად ვახდენთ კრებებს უპარტიოების თანდასწრებით. 16 აგვისტოს მოხდა მათთან გაერთიანებული კრება. დღის წესრიგში დასმული იყო საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ მოხსენება გააკეთა უპარტიო მასწავლებელმა ფირცხალავამ, რომელმაც გაგვაცნო დიდ მიღწევებს ამ მიმართულებით მოიყვან სტატისტიკური ცნობებიც.

შეკავშირებული მუშაობით ჩვენ შევსძლებთ ლენინის ანდერძის ცხოვრებაში გატარებას.

პარტკორი: **ა. მუქერია.**

კომუჯრედის ღია კრება.

პარასკევს, 15 აგვისტოს შესდგა ამხ. ობოლაძის სახელობის უმც. მეთ. სკოლის კომუჯრედის ღია კრება, რომელსაც დაესწრო პარტიულებისა და უპარტიო კურსანტობის მთელი შემადგენლობა.

კრების გახსნისთანავე დაიწყო საინტერესო მოხსენებების კითხვა.

— მენშევიკების გახრწნის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ასათიანმა, რომელიც შეეხო 14 წ. ომს, მის შედეგს—რევოლიუციას, საქართველოს დამოუკიდებლობას, კომუნისტურ გარდატეხას და მენშევიკურ პარტიის ლიკვიდაცია-გახრწნას. დასასრულ იყო შეკითხვები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

კვირეულ მიმოხილვას აკეთებს ამხ. დათუაშვილი.

მან მშვენივრად დაასურათა პოლონეთის მუშათა გაფიცვები, ლონდონში კომპარტიის ცეკას დაპატიმრება და სხვა.

შეეხო კონფერენციას და ბრაზილიის აჯანყებულთა მოძრაობას, აღნიშნა საჩჩნეთის მდგომარეობა და სხვა. იყო შეკითხვებიც.

გერმანია ანტანტის შესახებ მოხსენებას აკეთებს მეთაურთა სკოლის კურსანტი ამხ. ზარქუა, რომელმაც ღრმათ გააშუქა აღნიშნული საკითხი.

მიმდინარე კითხვებში იყო: 1) წითელ არმიელის განცხადება უფროსის ცუდათ მოპყრობაზე, ბ) მდივნის განცხადება საწევრო გადასახადის შესახებ და სხვ.

მაგრამ ვინაიდან მეთაურთა სკოლა თფილისში მიემგზავრებოდა და ჩვენებს გაცილება სურდათ—მიმდინარე საკითხები გადაიდვა მორიგ კრებისათვის.

ე. ც—ია.

პროფესორი ოტტო შმეილი.*)

ადამიანი.

თარგმანი ივანე ელიაშვილისა.

(გაგრძელება)

კუნთები.

რაფრად მოძრაობს ძვლები? ამას ახლავე გავარჩევთ. **კუნთები და მათი შემადგენელი ნაწილები.** ადამიანისა და ცხოველების ხორცი მთლიანად ერთი მასისაგან როდი შესდგება; იგი განიყოფება მრავალ სხვა და სხვა ზომის ნაწილებათ, რომელნიც აშკარად განისაზღვრება ერთი მეორესაგან. ამ ნაწილებს ჰქვია კუნთები.

ყოველი კუნთი შესდგება რამდენიმე მეტად მცირე ნაწილთაგან, აგრეწოდებულ კუნთების კონებისგან და ყოველი კონა თავის მხრივ შესდგება რამდენიმე უფრო წვრილ ხაოთაგან, რომელთაც ეძახიან კუნთების ხაოსს. აპკები, რომელნიც გარს ახვევია მთელ კუნთსა და კუნთების კერძო კონებს, კუნთის ბოლოში ერთდება მაგარ ზონრად, რომელსაც ჰქვია მყესი.

კუნთების მნიშვნელობა ადამიანის სხეულში. ქვემორე მოტანილი ცდა აშკარად გვიჩვენებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადამიანის სხეულში კუნთებს. მხრის წინა კერძზე ძევს ერთი დიდი კუნთი, რომელიც ზევიდან ორი მყესით უერთდება მხრის სარტყელს, ხოლო ქვეიდან ერთი მყესით მიკრულია სხივზე იდაყვის სალსრის ქვეშ. მარცხენა ზევითა კიდურის ამ კუნთს რო მარჯვენა ხელი დაადვათ ისე, რომ ცერი იდვას კუნთის ზემო ბოლოზე, ხოლო დანარჩენი თითები ქვედა ბოლოზე და თუ ამ ხელს მოხრით იდაყვში, თქვენ შეამჩნევთ, რომ ამ მოხრის დროს კუნთი შემოკლდება და მასთანავე შესამჩნევად გამსხვილდება. ამ შემოკლების გამო წინამხარი ზევითკენ აიწევა მყესზე ისე, როგორც ციხის ხიდს ასწევენ ხოლმე ჯაჭვით. როგორც ეს, აგრეთვე ყოველი სხვა მოძრაობაც სწარმოებს ჩვენ სხეულში კუნთების შემოკლების მეოხებით. იგივე მაგალითი ცხადჰყოფს, რომ მყესი არ არის ძალის წყარო, არამედ იგი არის უბრალო თოკი, რომლითაც კუნთი იჭიმება. ჩვენი სხეულის ყველა დანარჩენი მყესებიც ამგვარადვე წარმოადგენს კუნთების ძალთა გადამცემ საშუალებას შორ მანძილზე მყოფ ძვლებისთვის.

კუნთების სხვა და სხვა გვარები. როგორც ის კუნთი, რომელიც ზევითკენ სწევს წინა მხარს, აგრეთვე ჩვენი სხეულის კუნთების უმრავლესობა ემორჩილება ნებისყოფას. ხოლო ამ ნების ყოფით კუნთების გარდა ჩვენს სხეულში არის ისეთი კუნთები, რომლებზედაც ნების ყოფას არა აქვს არავითარი გავლენა. გული, ნაწლავები და სხვ. მოძრაობს სრულიად დამოუკიდებლად იმისა, გვსურს თუ არა ასეთი მოძრაობა. ამიტომ ასეთ კუნთებს ეძახიან თვითნება კუნთებს.

კუნთების მოვლა. ყველამ იცის, რომ სხეულის ვარჯიშობა აძლიერებს კუნთების ძალას (მოიგონეთ მჭედლების მაგარი ხელები, მთიულთა ძარღვიანი ფეხები). უმოქმედობა, პირიქით, ასუსტებს კუნთების ძალას. რადგანაც წონაში კუნთები წარმოადგენს სხეულის უმთავრეს ნაწილს, ცხადია, რომ ტანმრთელობა დამოკიდებულია კუნთების მდგომარეობაზე. უმოძრაოდ შეუძლებელია მაგარი კუნთის არსებობა, შეუძლებელია ტანმრთელობაც!

აქედან ადვილი წარმოსადგენია ფიზიკური მუშაობისა და გიმნასტიკური ვარჯიშობის მნიშვნელობა (გიმნასტიკა, სეირნობა, ცურვა და სხვა). ძალდატანებული, გადამეტებული დაჭიმვა, პირიქით, ისევე ავნებს კუნთებს, როგორც სხვა ორგანოებს. ამიტომაც, მუშაობამ უნდა წესიერად შესცვალოს ხოლმე დასვენება.

---

*) იხ. „წ. არ.“ № 557.

სამხედრო ტრიბუნალში.

დეზერტირების საქმე.

19 აგვისტოს ტრიბუნალმა, თავმჯდომარის ლეკვეიშვილის და კოლეგიის წევრების ხიხაძის და იმნაიშვილის შემადგენლობით გაარჩია ცხენ. ლეგიონის წით. მოლაშქრის გრიგოლ ერისთავის საქმე. მას ბრალი ედებოდა, თანახმად ს. ს. კ. 211 მუხლისა დეზერტირობაში.

საქმის გამოძიებამ გამოარკვია, რომ ბრალდებული ერისთავი 27 აპრილს გაპარულა სახლში და დაუყვია იქ 9 მაისამდე. შემდეგ კი თავის ნებით გამოცხადებულა ნაწილში. ბრალდებული თავის დანაშაულს ხსნიდა იმ გარემოებით, რომ ოჯახში დიდი გაჭირვება ჰქონდა. ძმა ყოლია სამხედრო სამსახურში და დანარჩენი ოჯახის წევრები ითვლებოდენ მის მზრუნველობაზე. სოფელში იგი გაიპარა იმ მიზნით, რომ აელო სათანადო საბუთები და განთავისუფლებულიყო სამხ. სამსახურიდან. საბუთები მან მართლადაც წარმოადგინა ნაწილში.

სასამართლომ მიუსაჯა ბრალდებულ ერისთავს, სახლში გაპარვისათვის სამი თვით გამსახლში მოთავსება და სამასი მანეთის ქონების კონფისკაცია. მაგრამ ბრალდებული ოჯახური მდგომარეობისა გამო სამასი მანეთი შემცირებულ იქნა 50 მანეთამდე საპატიმრო დროს უცვლელათ დატოვებით.

ტანისამოსს ყიდდა.

20 აგვისტოს სამხედრო ტრიბუნალმა, იმავე შემადგენლობით გაარჩია აგრეთვე ცხენ. ლეგიონის სიმონ ცხოვრებაშვილის საქმე.

ბრალდებული ცხოვრებაშვილი ხშირათ იპარებოდა სახლში და იმავე დღეს ან მეორე დღეს თითონვე ცხადდებოდა. ამისათვის იგი ისჯებოდა დისციპლინარული წესით. ა. წლის მაისში ცხოვრებაშვილმა გაყიდა მაზარა და აღებული ფული თითონვე მოიხმარა. ამავე წლის 1-ლ ივნისს იგი გაიპარა სახლში და დარჩა იქ 7 ივნისამდე. ამ დღეს კი იგი დააპატიმრეს და წარადგინეს პასუხისგებაში.

ღნიშნულ ბრალდებათათვის ცხოვრებაშვილს გადაუწყვიტეს ათი თვის ვადით გამასწორებელ სახლში მოთავსება და 300 მან. ქონების ჩამორთმევა.

სიმართლე თავის გზას არ დაკარგავს.

ამავე დღეს, ე. ი. 20 აგვისტოს გაირჩა აგრეთვე შეერთებულ სამხედრო სკოლის უმწყობრო ასეულის წითელ არმიელის ალექსი დეკანოზის-ძე სალთხუციშვილის საქმე. მას ბრალდებოდა სახაზინო ქონების გაფლანგვა.

საქმის ვითარება ასეთი იყო: სკოლის უმწყობრო ასეულის ხუთ წითელ არმიელს არ აღმოაჩნდათ მათზე დროებით სახმარებლად მიცემული თექები. მათის განცხადებით ეს თექები მათ ჩაუბარებიათ შესანახავად უფროს მეჯინიბე სალთხუციშვილისათვის. ამ უკანასკნელს კი ასეთი რამ არ აღმოაჩნდა. გამოირკვა, რომ სალთხუციშვილი არ ყოფილა მეკუჭნავე, არამედ მას ჰქონია ერთი ოთახი, საიდანაც წითელ არმიელებს გაჰქონდათ ქერი ცხენებისათვის. ასე რომ, იმ ოთახში ყველას შეეძლო შესვლა.

გარდა ამისა სალთხუციშვილს უფლება ჰქონდა არ მიებარებია აღნიშნული ნივთები. არც ის ფაქტი დამტკიცდა, რომ თექები მიაბარეს მას. საზოგადოთ კი სალთხუციშვილი ითვლებოდა ერთ-ერთ პატიოსან წითელ არმიელათ და სამსახურის კეთილსინდისიერ შემსრულებლათ.

ამიტომ ტრიბუნალმა მიიღო ყველა გარემოებანი მხედველობაში და დაადგინა ბრალდებული სალთხუციშვილი გამართლებულ იქნას.

მეცნიერება და ტექნიკა

4 ათასი ავტომობილი დღეში.

წინა წერილში ჩვენ ვწერდით თუ უმწვერვალესამდე განვითარებული შრომის განაწილება რა დიდ ნაყოფიერებას იძლევა ფორდის ქარხანაში. ამას თან ერთვის ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევებით მოწყობილი ქარხანა, რომელიც უბრალო დაფიქრების დროსაც კი არ აძლევს მუშას.

კოლოსალური სიძლიერის მამოძრავებლებს მოძრაობაში მოყავთ აუარება ავტომატები — სახარატო, დამხვრეტი და სხვა. მატორის ბლიკი თვალის დახამხამებაზე მზადდება დაზგაზე ყოველი მხრიდან ერთ და იმავე დროს. ეს კი იძლევა მეტად დიდ ეკონომიას მუშაობაში.

მაგრამ რაც უფრო რთულია მანქანის მუშაობა, მით მარტივი ხდება ამ მუშაობის მუშისაგან შესრულებული ოპერაციები. ეს კი უმთავრესი იყო ფორდისათვის.

მან ამ გარემოების წყალობით გვერდი აუარა დახელოვნებულ მუშებს და მისი ქარხანა ავსილია სრულიად უვიცი და ათასგვარ ეროვნების ხალხით. ფორდის ქარხანაში მუშაობენ 56 ეროვნებათა წარმომადგენლები, რომელთა შორის მრავლად არიან ჩინელები, იაპონელები, ნეგრები და ინდოელები.

თუ რამდენადაა განვითარებული შრომის განაწილება ფორდის ქარხანაში ამას მჭერმეტყველურად ამტკიცებენ შემდეგი მაგალითები: ავტომობილის მაგნეტის აწყობა პირველად ევალება ერთ კაცს, რომელიც ასრულებდა ამ საქმეს 20 წუთში. შემდეგ ეს სამუშაო გაყვეს 29 ოპერაციათ ე. ი. მაგნეტი გადიოდა 29 კაცის ხელში სრულიად დამთავრებულიყო. ასეთი მდგომარეობის დროს მის აწყობას უნდოა 13 წუთი.

შემდეგ კიდევ იმდენად განაწილდა შრომა, რომ მაგნეტის აწყობა ამ ჟამად სჭირდება ხუთი წუთი.

მოტორის დამზადების საქმე კი 84 ოპერაციით არის დაყოფილი. ამნაირად მთლიანი ავტომობილის დამზადებას ფორდის ქარხანაში სჭირდება ერთნახევარი საათი.

ამნაირად ფორდის ცდამ ყველა ლიტერატურულ ნაშრომზე უფრო გამოარკვია წარმოებაში გეგმა შეწონილ მუშაობისა და ორგანიზაციის მნიშვნელობა. მან დიდი გავლენა მოახდინა ამერიკის მრეწველობის ხელმძღვანელებზე.

ახალი ქვემეხი ჰაეროპლანების წინააღმდეგ.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ამერიკაში შეერთებულ .შტატების სამხედრო სპეციალისტების თანდასწრებით მოახდინეს ახალი სისტემის ქვემეხის გამოცდა. ქვემეხი დანიშნულია ჰაეროპლანების წინააღმდეგ და განირჩევა თვისი სრულის სისწრაფით. ქვემეხი ყოველ წუთში უშვებს 15 ჭურვს 30 ათასი ფუტის სიმაღლეზე.

თითეული ჭურვის სიგრძე უდრის ერთ ფუტს. ექსპერტთა აზრით ასეთი ტიპის ქვემეხებს ადვილად შეუძლია 18 ათასი ფუტის სიმაღლიდან ჩამოაგდოს ყოველ-გვარი ჰაეროპლანები.

ახალი ამბავი.

— **სათესლე ხორბალი.** თელავის სამაზ.მასკომმა დაავალა აგრო-დახმარების განყოფილებას მოაგვაროს სათესლე ხორბლის საკითხი.

— **ეკლესიები სკოლათ.** ყულისკარის თემის (ზუგდიდის მაზრა) 3 სოფლის მცხოვრებთა საერთო კრების დადგენილებით გადაწყვეტილია დაანგრიონ ოთხი ეკლესია და მიღებული მასალა მოახმარონ 9 წლიანი სკოლის დიდი შენობის აშენების საქმეს.

— **სავაჭრო-სამრეწველოების აღწერა.** თელავის აღმასკომმა დაადგინა აღრიცხულ იქნას მაზრაში ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი.

— **საცდელ-საჩვენებელი მინდორი.** ზუგდიდის სამაღმასკომმა დაადგინა მოაწყოს საცდელ-საჩვენებელი მინდორი მაზრაში აგრო-მუშაობის თავის სიმაღლეზე ასაყვანად.

— **ქინაქინა სოფლებისათვის.** ჯანმრთელობის კომისარიატი ამჟამად არკვევს თუ რომელ მაზრას რამდენი ქინაქინა დასჭირდება.

— **ბავშვთა დამხმარე საზოგადოებათა საერთაშორისო ყრილობა.** საქ. წითელმა ჯვარმა მიიღო მოწვევა ბავშვთა დამხმარე საზოგადოებების საერთაშორისო ყრილობაზე დასასწრებლათ ვენაში.

— **საქონლის ჭირის შემცირება.** სენაკის მაზრიდან იტყობინებიან, რომ იქ საქონელი უკვე იშვიათად ხდება ავათ.

— **მუშათა კოოპერატივები.** ცეკავშირმა მიზან შეწონილად სცნო საქართველოს სამრეწველო ადგილებზე არსებული კოოპერატივები გადააკეთონ მუშათა კოოპერატივებათ.

— **ციმბირის ჭირი.** საბეითლო სამმართველოს ცნობით ივლისის განმავლობაში ციმბირის ჭირით ავათ გახდა 23 ადამიანი.

— **სამხ. ტრიბუნალში.** დღეს, გაირჩევა ცხენოსან ლეგიონის წითელ არმიელების თავაძის და ქვანიას საქმე. ბრალდებათ მითვისება, გაფლანგვა და თანამდებობითი დანაშაულობანი.

— **შეშა ჯარისათვის.** საქ. გლეხკომების ბიუროს მინდობილი აქვს გლეხკომების საშუალებით დაამზადოს ჯარის საჭიროებისათვის შეშა.

— **მუშათა ფაკულტეტები.** განათლების კომისარიატმა საჭიროთ სცნო ქუთაისში გახსნას მომავალ წლიდან მუშათა ფაკულტეტი.

— **ქალაქის ბაღი ვაკეზე.** ქალაქის აღმასკომმა აუცილებელ საჭიროებათ სცნო ვაკეზე ახალი ბაღის გაშენება.

— **ბათომის შრომის ბირჟა.** ბათომის შრომის ბირჟაზე უმუშევართა აღრიცხვა დროებით შეწყვეტილია.

ხელოვნება.

— **ქართული საოპერო დასი.** სახელოვნო კომიტეტმა დაამტკიცა ქართველ მსახიობთა საოპერო დასი, რომელიც მომავალი წლიდან აყვანილი იქნება სახელმწიფო ხარჯზე.

— **კონსერვატორიაში ქართულ ენაზე იქნება სწავლა.** სახელოვნო კომიტეტმა წინადადება მისცა კონსერვატორიის სიმღერების განყოფილებას, დაჩქარებით წარმოადგინოს წერილობითი მოხსენება ქართულ ენაზე სიმღერის სწავლების შესახებ.

— **ხალხური სიმღერები.** სახელოვნო კომიტეტმა დაადგინა გურიიდან გამოიწვიოს ცნობილი სახალხო მომღერლები, სიმღერების ჩასაწერად.

ქართული სამხედრო სარედაქციო საგამომცემლო კოლეგია

შეუდგა ტერმინების კრებულის ბეჭვდას, ქართულ-რუსულის და რუსულ-ქართულის.

კრებულში მოთავსებულია გარდა წმინდა სამხედრო ტერმინებისა აგრეთვე ყველა ის სამეცნიერო სატეხნიკო ტერმინები, რომელნიც კი იხმარებიან სამხედრო ლიტერატურაში.

კრებული განხილული და დადასტურებულია რესპუბლიკის უმაღლეს სამეცნიერო საბჭოს მიერ.

კრებული შეიცავს დაახლოვებით 3500 ტერმინს. კრებული ეღირება— ერთი მანეთი და 50 კ.

კოლეგია სთხოვს ყველა სამხედრო და იმ სამოქალაქო დაწესებულებებს, რომელთაც ასეთი კრებული ესაჭიროებათ, ეხლავე აცნობონ კოლეგიას, თუ რამდენი ცალი კრებულისა დასჭირდება მათ.

კოლეგიის მისამართი: კეცხოველის ქუჩა (ყოფილი ლორის-მელიქოვისა) № 3.

დავკარგე კომპარტიის კანდიდატობის მოწმობა № 119 გაცემული ერმილე გაბრიელის-ძე სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1400 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე.